ომერ სეიფედინი(1884-1920) - „სავარცხელი“

ნატო ხარშილაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიო უნივერსიტეტი
საქართველო, 0179, თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1,
+995551424252, nkharshiladze@cu.edu.ge
https://orcid.org/0000-0001-8366-8820

აბსტრაქტი

ომერ სეიფედინი დაიბადა 1884 წელს თურქეთში, ქ.ბანდ-ირმაში. გარდაიცვალა 1920 წელს ქ.სტამბოლში. იყო მოთხრობ-ების მწერალი, რომანისტი, მასწავლებელი და ოფიცერი. ის ითვ-ლება ერთ-ერთ უდიდეს თანამედროვე თურქ ავტორად.

სეიფედინი სწავლობდა ედირნისა და კონსტანტინოპოლის სამხედრო სასწავლებლებში, შემდეგ კი ჯარში მსახურობდა. მიიღო მონაწილეობა ბალკანეთის ომებში(1912-13წწ.). სამხედრო სამსახურიდან წასვლის შემდეგ მან თავი მწერლობასა და სწავ-ლებას მიუძღვნა. ლიტერატურული მოღვაწეობა 1908 წლიდან დაიწყო. სეიფედინი წერდა უნიკალური სტილით. ნაწარმოებ-ებში მოთხრობილი ამბები პირადი გამოცდილებიდან, ისტორ-იიდან და პოპულარული ტრადიციებიდან აიღო. სასაუბრო ენის გამოყენებამ მის მოთხრობებს ნათელი და მომხიბვლელი სხივი

შესძინა. ის იყო პოპულარული და ფართოდ წაკითხვადი ავტ-ორი, აბსოლუტურად დამოუკიდებელი თავისი დროის ლიტერ-ატურული მოძრაობებისგან. სეიფედინის ნაწარმოებები მოიცავს თემების ფართო სპექტრს: სატირებს, პოლემიკურ დრამებს, კომიკურ სიტუაციებს და სოციალურ კომენტარებს. მისი ნაწარმ-ოებები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ქართუ-ლად.

სკვანძო სიტყვები: ცხენი, სავარცხელი, საჯინიბო, ძმა, შიში.

თურქულიდან თარგმნა ნატო ხარშილაძემ

„სავარცხელი“

საჯინიბოს ეზოში თამაშისას ქვემოთ ღობესთან მდგარი ვერცხლისფერი ტირიფების ქვეშ უხილავი ღელე ჩამოდიოდა. მისი სევდიანი დუდუნისთვის ოჯახის წევრსა თუ მსახურს ყური შეჩვეული გვქონდა. ეზოს გალავნის გაყოლებაზე, წაბლის დიდი ხეების მიღმა, ჩვენი სახლის სახურავი მოჩანდა. მას შემდეგ, რაც დედა სტამბოლს გაემგზავრა, მე და ჩემი უმცროსი ძმა ჰასანი, დადარუჰს გვერდიდან არ ვშორდებოდით. დადარუჰი მამაჩემის მეჯინიბე იყო - მოხუცი, მშრომელი, ჭაღარა, კეთილი კაცი. გათენდებოდა თუ არა, ბავშვები საჯინიბოსკენ გავრბოდით. ჩვენი ყველაზე საყვარელი საქმიანობა ცხენე- ბის მოვლა იყო. დადარუჰთან ერთად მათზე ზრუნვა, წყალზე ჩაყვანა, შიშველ ზურგზე შემოჯდომა ენით აღუწერელ სიამოვნებას გვგვრიდა. ჰასანს ეშინოდა და ცხენზე მარტო არ ჯდებოდა,დადარუჰი წინ შემოისვამდა და ისე

დაატარებდა ხოლმე.ტომრებში ქერის ჩაყრა,ქილახორის (საჭმლის შესანახი) ბალახით გავსება,ნაკელის აღება,ცხენების გამოკ- ვება ყველანაირ გასართობ თამაშს მერჩივნა. განსაკუთრებით მათი დაბანა-გასუფთავე- ვება მეხალისებოდა. ყოველ დილით, როცა დადარუჰი საჯინიბოში შემოვიდოდა, რკი- ნისკბილებიან უზარმაზარ სავარცხელს ხელში აიღებდა და ცხენების ვარცხნას შეუდგე- ბოდა. მონოტონური შხრიალის მსგავსი ხმის გაგონებაზე მასთან მივირბენდი და ვეხვე- წებოდი:
- დადარუჰ, ცხენს მე დავვარცხნი რა.
- ვერ იზამ, არ შეგიძლია.
- რატომ?
- ჯერ პატარა ხარ და იმიტომ...
- შევძლებ.
- გაიზრდები და შეძლებ.
- როდის?
- ცხენის სიმაღლე რომ გახდები, მაშინ.
- ...
დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დადარუჰს შევეცოდებოდი, ხელში ამიტაცებდა, ცხენზე შემომსვამდა, ხელში სავარცხელს მომცემდა და მეტყოდა:
- ჰა, მიდი, დავარცხნე.
სავარცხელს ცხენის ზურგზე კი ვუსვამდი,მაგრამ ჩემ ხელში ის უცნაური ხელსაწყო ის- ეთ ჰარმონიულ ხმას ვერ გამოსცემდა.
- კუდს აქნევს? - ვეკითხებოდი დადარუჰს.
- აქნევს.
- კარგი, აბა ვნახო...
დავიხრებოდი, მთლიანი ტანით ცხენის ზურგზე გავწვებოდი და გავიჭიმეოდი, მაგრამ მის კუდს მაინც ვერ ვხედავდი. უამრავ საქმეში ვეხმარებოდი უფროსებს, მხოლოდ ცხენის დავარცხნას ვერ ვართმევდი თავს, რადგან სიმაღლე არ

მყოფნიდა, ცხოველს მუცლამდეც ვერ ვწვდებოდი. ჩემთვის კი ეს საქმე ყველაზე სასიამოვნო და ერთობ გასართობი რამ იყო.თოსუნსაც თიქოს მოს- წონდა ჩემი გაუთავებელი შეჩენა-ჩხიკინი, ყურები უცახცახებდა და კუდს უზარმაზარი ფუნჯივით აქნევდა. დავარცხნა-გასუფთავების საქმე ბოლოსკენ როცა მიდიოდა, ცხენი გრძნობდა და უკმაყოფილო ფრუტუნს იწყებდა. მაშინ დადარუჰი წელზე შემოსცხებდა - ოხ, შე ეშმაკოო, - ეტყოდა და მაშინვე სხვა ცხენების მოვლაზე გადადიოდა.
ერთ დღეს მარტო დავრჩი. ჰასანი და დადარუჰი ღელეზე ჩასულიყვნენ. დრო ვიხელთე და ცხენის დავარცხნა გადავწყვიტე. სავარცხელს ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე. ბეღელის კუთხეში დადარუჰს პატარა უფანჯრო ოთახი ჰქონდა. იქ შევედი. თაროები გადავქექე. უნაგირებსა და სხვა ნივთებს შორისაც შევიხედე.
- არ არის, არ არის! - გაბრაზებული ვიმეორებდი ჩემთვის. საწოლის ქვეშ ხის მწვანე სკივრი იდგა. გავხსენი და სიხარულისგან კინაღამ ვიკივლე. ერთი კვირის წინ სტამბოლიდან დედას გამოგზავნილ საჩუქრებს შორის ვერცხლის- ფრადმოელვარე ცხენის სავარცხელი დავინახე. მაშინვე ხელი ვტაცე და თოსუნთან გა- ვიქეცი. მუცელზე მოვეფერე, დავუყვავე და ვაცრხნას შევუდექი. ერთ ადგილას არ ჩერ- დებოდა, შემობრუნდა და ცხვირი დამარტყა. ახლა სხვა ცხენებს მივაშურე, მაგრამ შევა- ტყვე, მათაც არ სიამოვნებდათ ჩემი გამოუცდელი ხელი.
- მგონი ტკენს, - გავიფიქრე და სავარცხელს დავხედე. რკინის კბილები საკმაოდ წვეტი- ანი და ბასრი ჰქონდა. იმისთვის რომ ცოტა დამებლაგვებინა, მივედი და კედლის ქვებს დავუწყე სავარცხლით ჩხაპნა. როცა დავრწმუნდი, რომ კბილები ცოტათი მოვარბილე, ისევ ცხენებს მივაშურე, მაგრამ მაინც ვერ

დავიმორჩილე ვერც ერთი. გავბრაზდი,ჯავრი სავარცხელზე მინდოდა მეყარა. ჩქარი ნაბიჯებით წყაროსაკენ გავიქეცი. სავარცხელი დიდ ქვაზე დავდე, ყველაზე მძიმე ქვა, რომლის აწევაც შევძელი, მივიტანე და ზემოდან ზედიზედ რამდენჯერმე დავარტყი.სტამბოლიდან გამოგზავნილი ეს დიდებული საჩუ-ქარი, რომელიც ჯერ დადარუჰსაც არ ჰქონდა გამოცდილი,ვინ იცის უფრთხილდებოდა იდეც, დავჭეჭყე და ნაწილებად ვაქციე, შემდეგ გავიქეცი და ღელეში გადავყარე.
მამაჩემი ყოველ დილით გარეთ გასვლისას საჯინიბოში შეივლიდა და თავისი მახვილი თვალით ყველა კუთხე-კუნჭულს ათვალიერებდა.იმ დილითაც საჯინიბოში მარტო აღ-მოვჩნდი. ჰასანი მოახლე ფერვინთან ერთად სახლში დარჩა. მამა წყაროსთან ჩასულიყო და ირგვლივ არემარეს ათვალიერებდა. წყალში ჩაიხედა. უცებ, გატეხილ სავარცხელს მოჰკრა თვალი და მეჯინიბეს გასძახა:
- დადარუჰ, მოდი აქ!
- ...
- ჭყალში რაღაც ბრჭყვინავს, ამოიღე ერთი!
სუნთქვა შემეკრა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან შემეშინდა.დადარუჰსაც გაუკვირდა გატეხილი სავარცხლის დანახვა.
- ვინ ქნა ეს?
- არ ვიცი, ბატონო.
მამამ ისე, რომ არაფერი უკითხავს, მზერა ჩემზე გადმოიტანა.
- ჰასანმა, - მივახალე მაშინვე.
- ჰასანმა?
- დიახ, გუშინ, დადარუჰს ოთახში როცა ეძინა, სკივრიდან ამოიღო, აქ წამოიღო და ღელის ქვით დალეწა.
- დადარუჰს რატომ არ გააგებინე?
- ეძინა.

- ახლავე დაუძახე ჰასანს!
- ...
გალავნის ჭიშკარი გავიარე, დაჩრდილული ბილიკით სახლისკენ გავიქეცი. ჰასანი მოვ- ძებნე, მამა გეძახის-თქო ვუთხარი და მაშინვე უკან დამედევნა. საწყალმა ბავშვმა მომხ- დარის შესახებ არაფერი იცოდა. მამა საკმაოდ მკაცრი კაცი იყო. მისმა ერთმა გამოხედ- ვამ ორივე ძალიან შეგვაშინა.
- იცოდე, რომ მომატყუო, გცემ! - უთხრა ისედაც დამფრთხალ ჰასანს. - არ მოგატყუებ, მამა.
- კარგი! რატომ დაამტვრიე სავარცხელი?
გატეხილი სავარცხელი დადარუჰს ეჭირა ხელში, ჰასანი გაკვირვებული უყურებდა და უარის ნიშნად თავს საცოდავად აქნევდა დაბნეული.
- მე არ დამიმტვრევია, - თქვა მან.
- ნუ მატყუებ, გეუბნები!
- არ გატყუებ, მამა, მე არ გამიტეხავს.
- სიმართლე თქვი, არ მეწყინება. ხომ იცი, ტყუილი ძალიან ცუდია.
გამწარებული ბავშვი კვლავ უარობდა. გაბრაზებული მამა ჰასანს მიუახლოვდა:
- უსინდისო მატყუარა! - დაუყვირა და სახეში სილა გააწნა.
- წაიყვანე ეს ცრუპენტელა სახლში; იცოდე, საჯინიბოში აღარასდროს შემოიყვანო. იჯ- დეს სახლში ფერვინთან ერთად, მეტის ღირსი არ არის! - ყვიროდა მამა.
დადარუჰმა ატირებული ჩემი ძმა ხელში აიყვანა და გალავნის ჭიშკრისაკენ გაემართა. იმ დღიდან მოყოლებული საჯინიბოში სულ მარტო ვთამაშობდი. ჰასანი სახლში იყო დატყვევებული. მამა მას სახეში აღარ უყურებდა. დედას ჩამოსვლის შემდეგაც არ აპა- ტია. შესაძლებლობა

მიეცემოდა თუ არა, „ის მატყუარაო“ - ასე მოიხსენიებდა. როცა საბ-რალო ჰასანს გაწნილი სილა გაახსენდებოდა, გული ამოუჯდებოდა და ტირილს იწყებ- და, ძლივს ჩერდებოდა საწყალი. დედაჩემს მთავარ დამნაშავეზე,მით უფრო ჩემზე, წარ-მოდგენა არ ჰქონდა. ის რომ გაეგო, უმცროსი ძმის ცილისწამებას ასე ურცხვად ვიტან- დი, ჰასანზე მკაცრად მე დავისჯებოდი.
- ნეტა, იმ ჩერჩეტმა დადარუჰმა შემთხვევით, ცხენებს ხომ არ გაათელინა ფეხქვეშ ის სა- ვარცხელი? - ამბობდა ეჭვებში ჩავარდნილი.
მომდევნო წელს, ზაფხულში, დედა ისევ სტამბოლს გაემგზავრა. ჩვენ მარტო დავრჩით. ჰასანს თავლაში შესვლა კვლავ ეკრძალებოდა. ღამით,დასაძინებლად როცა ვწვებოდით, ცხენების ამბებეს მეითხებოდა, აინტერესედა როგორ იზრდებოდნენ კვიცები. ერთ დღ- ეს ჰასანი მოულოდნელად ავად გახდა. ექიმის მოსაყვანად დაბაში ცხენი გავგზავნეთ.
- დიფტერიაა, - გულდასმით გასინჯვის შემდეგ დაასკვნა ექიმმა.
ფერმაში მყოფმა გლეხის ქალებმა ჩვენს სახლს მოაშურეს. ავადმყოფის სანახავად ჭრე- ლი ჩიტები და ფრინველები მოჰყავდათ.
მამა ჰასანის საწოლის თავს არ შორდებოდა. დადარუჰი დადუმებული დაიარებოდა, ფერვინი სლუკუნით ტიროდა.
- რა გატირებს? - ვეკითხებოდი ფერვინს.
- შენი ძმა ავადაა.
- კარგად იქნება.
- ეს არ მოხდება.
- აბა რა იქნება?
- შენი ძმა მოკვდება, - თქვა მან.
- მოკვდება?
- ...
მეც ავტირდი. მას შემდეგ რაც ჰასანი ავად გახდა, ფერვინის

გვერდით მეძინა. იმ ღამეს საერთოდ ვერ დავიძინე. ჩამთვლემდა თუ არა, ჰასანი მესიზმრეოდა. „ცილისმწამებელო! მოღალატე ცილისმწამებელო!“ - მეძახდა ტირილით. ჩემი პატარა ფანტაზია იმდროინდელი რელიგიური აღზრდის საშინელებით იყო გაჯერებული.ვფი- ქრობდი და მეშინოდა, ვინ იცის, ძმისთვის უსამართლოდ გაწნილი სილის ნაცვლად როგორ იყრიდა ჯავრს ჩემზე ცხოვრება. ფერვინი გავაღვიძე.

- ჰასანთან წავალ.

- რატომ?

- მამას რაღაც უნდა ვუთხრა.

- რა უნდა უთხრა?

- სავარცხელი მე რომ გავტეხე, ის უნდა ვუთხრა.

- რომელი სავარცხელი?

- შარშანდელი. აი, ის, რის გამოც მამამ დასაჯა...

წინადადება ვერ დავასრულე. ცრემლები მახრჩობდა. ფერვინს ყველაფერი ვუამბე. მამაჩემისთვის სიმართლე რომ მეთქვა, იქნებ ჰასანსაც გაეგო და ეპატიებინა ჩემთვის.

- ხვალ უთხარი, - მითხრა ფერვინმა.

- არა, გთხოვ, წავალ.

- მამაშენს და ჰასანსაც ახლა სძინავთ. ხვალ დილით უთხარი. აკოცე, იტირე, ძმას პა- ტიება სთხოვე და ისიც გაპატიებს.

- კარგი.

- მოდი, ახლა დაიძინე.

- ...

დილამდე თვალი ვერ მოვხუჭე. ინათა თუ არა, ფერვინი გავაღვიძე. ავდექით. ჩემში ჩა- ბუდებული მტანჯველი შხამისგან გათავისუფლებას ვჩქარობდი. მაგრამ ვაი, რომ საწ- ყალი, უდანაშაულო ჰასანი იმ ღამით გარდაცვლილიყო.დავინახე, როგორ ისხდნენ დი- ვანზე

დადარუჰი და ჩვენი ფერმის იმამი, ყველა ტიროდა და მამაჩემის ოთახიდან გა- მოსვლას ელოდებოდნენ...